N გ-20-03/1006
16/03/2020

1006-გ-20-03-2-202003161717

ინდოეთის მოქალაქე საჯი შაჯაჰანს

შეტყობინება

ინდოეთის მოქალაქე საჯი შაჯაჰანის მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ან საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენს მიერ კომისიაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეუსაბამობაში მოდის "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონთან 2020 წლის 19 მარტს 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, გაიმართება კომისიის სხდომა, სადაც განიხილება საკითხი ინდოეთის მოქალაქე საჯი შაჯაჰანის მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაციაზე უარის თქმის თაობაზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, უფლება გაქვთ კომისიას წარუდგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის რეკომენდაციის შესაბამისად, კომისია გადადის დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (https://eforms.gncc.ge) უმოკლეს ვადაში განაახლოთ ან/და კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@gncc.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.gncc.ge).

2020 წლის 19 მარტის კომისიის სხდომის წარმართვის ფორმის ცვლილების შემთხვევაში გაცნობებთ დამატებით, შესაბამის ინსტრუქციებთან ერთად, წინააღმდეგ

შემთხვევაში, სხდომა გაიმართება ჩვეულ რეჟიმში და უფლებამოსილი ხართ თქვენი პოზიცია წარმოგვიდგინოთ წერილობით, სხდომაზე გამოუცხადებლად. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების შემთხვევაში გთხოვთ იყოლიოთ თარჯიმანი.

პატივისცემით,

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია